საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური
STATE SECURITY SERVICE OF GEORGIA

SSG 8 18 00054436

13/04/2018

<u>სასწრაფო</u>

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატს

საქართველოს მთავარ პროკურატურას

სსიპ - საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურს

საქართველოს ეროვნულ ბანკს

ასლი: საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს

გაცნობებთ, რომ **2018** წლის ივლისში, გაერო-ს უშიშროების საბჭოს კონტრტერორისტული კომიტეტის აღმასრულებელი დირექტორატის (CTED) ინიციატივით, დაგეგმილია კომიტეტის შემფასებელი დელეგაციის ვიზიტი საქართველოში, რომლის მიზანია საქართველოს მიერ გაერო-ს უშიშროების საბჭოს შესაბამისი რეზოლუციების *(1373 (2001); 1624 (2005); 2178 (2014); 2242 (2015); 2309 (2016); 2322 (2016); 2331 (2016), 2341 (2017); 2354 (2017); 2370 (2017); 2395 (2017) და 2396 (2017))* შესრულების პროგრესის შეფასება,

info@ssg.gov.ge

მონიტორინგი და მათი იმპლემენტაციის ხელშეწყობის მიზნით, ნებისმიერი ტექნიკური დახმარების საჭიროების განხილვა, ასევე, ტერორისტული საფრთხეების, ტენდენციებისა და გამოწვევების შესახებ აზრთა ურთიერთგაცვლა.

საქართველოში ვიზიტი განხორციელდება რეგიონალური *(შესაბამისი მოთხოვნები მიეწოდათ ასევე, სომხეთსა და აზერბაიჯანს)* ვიზიტის ფარგლებში, თუმცა, ექსპერტთა ანგარიში არ იქნება რეგიონალური. შემფასებელი დელეგაციის შემადგენლობაში, კომიტეტის წევრების გარდა, შესაძლოა, იყვნენ სხვადასხვა საერთაშორისო და რეგიონალური ორგანიზაციის წარმომადგენლები *(მაგ. გაერო-ს უშიშროების საბჭოს Al-Qaeda-ს და ISIL-ის სანქციების კომიტეტი, უშიშროების საბჭოს 1540 კომიტეტი, გაერო-ს გენერალური მდივნის კონტრ-ტერორიზმის ოფისი (OCT), UNODC, IOM, INTERPOL, WCO, OSCE, MONEYVAL (CoE), ICAO, BSEC, GUAM).*

ვიზიტის დასასრულს, ქართულ მხარეს წარედგინება შეხვედრების შედეგების ზეპირი მიმოხილვა, ხოლო ანგარიშის წერილობითი ვერსია კომენტარებისა და შესაძლო შესწორებებისათვის საქართველოს წარედგინება ვიზიტიდან ერთი ან თვენახევრის ვადაში. აღნიშნულის შემდგომ, კომიტეტი დაამტკიცებს ანგარიშს და განახლებულ რეკომენდაციებს, რომლის შესრულების ანგარიში ქართულმა მხარემ უნდა წარადგინოს 120 დღის ვადაში. **კომ იტეტის ანგარიშები კონფიდენციალურია** *(მისი გაზიარება ხდება მონაწილე სახელმწიფოებს, კომიტეტსა და გაერო-ს უშიშროების საბჭოს წევრ 15 ქვეყანას შორის).* თუმცა, საჭიროების შემთხვევაში, ქვეყნისათვის ტექნიკური ან სხვა სახის დახმარების გაწევის მიზნით, კომიტეტი შუამდგომლობს შესაბამის ორგანიზაციებთან და ასეთ შემთხვევაში ხდება ანგარიშის ნაწილების გაზიარება.

ვიზიტის თარიღებს, დელეგაციის შემადგენლობას, პირველად პროგრამას, შესაძლო თემატურ პანელებს და შეხვედრების თაობაზე ინფორმაციას კომიტეტი საქართველოს მუდმივ წარმომადგენლობას მიაწვდის მოგვიანებით. პროგრამა დგება ორივე მხარის ჩართულობით, შესაბამისად, ქართულ მხარეს ექნება შესაძლებლობა პროგრამის პროექტში შეიტანოს შესაბამისი შესწორებები.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში კომიტეტის პირველი ვიზიტი შედგა 2007 წელს და წლევანდელი ვიზიტი იქნება მისი გაგრძელება, თუმცა, წინა ღონისძიებასთან შედარებით, იქნება უფრო ხანმოკლე (ორი-სამი დღე). **შეხვედრების ფარგლებში აქცენტი გაკეთდება ახალ განვითარებებსა და გამოწვევებზე**, მათ შორის, შესაბამისი მიმართულების რეზოლუციების შესრულებასა და ქართული მხარისათვის გადაცემული რეკომენდაციების აღსრულების საკითხებზე. **ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ კომიტეტის მხრიდან ბოლო რეკომენდაციები და კითხვარები ქართულ მხარეს გადაეცა 2015 წელს** *(კომიტეტის ანგარიში),* რაზეც საქართველოს მხრიდან ინფორმაციის მიწოდება არ მომხდარა. შესაბამისად, მოთხოვნილია კომიტეტის დელეგაციის საქართველოში **ვიზიტის განხორციელებამდე, ქართულმა მხარემ მიაწოდოს კომიტეტის მიერ შემუშავებულ კითხვარებსა და რეკომენდაციების შესრულებაზე განახლებული ინფორმაცია. სასურველია, გაერო-ს მიეწოდოს შეძლებისდაგვარად სრულყოფილი ინფორმაცია, რათა კომიტეტს მიეცეს შესაძლებლობა სათანადოდ შეაფასოს საქართველოს მიერ გაერო-ს უშიშროების საბჭოს შესაბამისი რეზოლუციების შესრულების პროგრესი.** ამასთან, აღსანიშნავია, რომ შემფასებელი დელეგაციის შემადგენლობა, დღის წესრიგი და განსახილველი საკითხები განისაზღვრება საქართველოდან მიწოდებული და კომიტეტის მიერ ღია წყაროებიდან მოძიებული ინფორმაციის შეფასების საფუძველზე.

ზემოხსენებულიდან გამომდინარე, დანართის სახით, **წარმოგიდგენთ კომიტეტის ანგარიშს 2015 წლის სექტემბრის მდგომარეობით,** შემდეგი დოკუმენტების სახით:

1. **იმპლემენტაციის დეტალური მიმოხილვა (DIS),** რომელიც ითვალისწინებს გაერო-ს უშიშროების საბჭოს 1373 (2001) და 1624 (2005) რეზოლუციებთან დაკავშირებულ დეტალურ კითხვებს, საქართველოს მიერ მათი შესრულების შესახებ მოკლე ინფორმაციას და კომიტეტის შეფასებას.
2. **იმპლემენტაციის შეფასების მიმოხილვა (OIA),** რომელიც ითვალისწინებს იმპლემენტაციის დეტალური მიმოხილვის (DIS) დოკუმენტის დასკვნით შეფასებას და რეკომენდაციებს.

გთხოვთ, განიხილოთ წარმოდგენილი დოკუმენტები და თქვენი უწყების, მათ შორის დაქვემდებარებული შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების, კომპეტენციებიდან გამომდინარე, შეძლებისდაგვარად უმოკლეს ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს **მიმდინარე წლის 2 მაისისა,** მოგვაწოდოთ წარმოდგენილ დოკუმენტებში ასახულ კითხვარებსა და რეკომენდაციებზე **განახლებული ინფორმაცია (ინგლისურ ენაზე)**, გაერო-ს უშიშროების საბჭოს კონტრტერორისტული კომიტეტის აღმასრულებელი დირექტორატისათვის (CTED) მიწოდების მიზნით. ამასთან, გთხოვთ, **გამოყოთ საკონტაქტო პირი/პირები,** რომლებიც უზრუნველყოფენ უწყების ფარგლებში საკითხების კოორდინაციას.

კითხვების შემთხვევაში, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მხრიდან, საკონტაქტო პირებად განსაზღვრულნი არიან ნანა ბერიძე - ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე (ტელ: 2412632; 599113679; n.beridze@ssg.gov.ge) და გულნარა თოფჩიშვილი - განყოფილების უფროსი (ტელ: 2412123; 593711444; ელ-ფოსტა: gukatopchishvili@ssg.gov.ge).

დანართი: 72 (სამოცდათორმეტი) ფურცელი.

პატივისცემით,

ადმინისტრაციის უფროსის
მოვალეობის დროებით შემსრულებელი **ნინო გიორგობიანი**

ნინო გიორგობიანი